სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმა

სს „საქართველოს ბანკის“ აქციებთან დაკავშირებით გამოცხადებულ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის განცხადების შეტყობინება

<u>თანხმობის განმცხადებელი (რეგისტრირებული მფლობელი)</u>

სახელი, გვარი / იურ. პირის დასახელება: _____

პასპორტის / პ.მ. ნომერი / კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი: _____

მუდმივი საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: _____

შეთავაზების მიმღები აქციონერის უფლებამოსილი პირ(ებ)ის სახელი / თანამდებობა: _____

ტელეფონის ნომერი: _____

ელ. ფოსტა: _____

2011 წლის 21 დეკემბერს ბენქ ოფ ჯორჯია ჰოლდინგზ პლს-ს (Bank of Georgia Holdings Plc), (ინგლისსა და უელსში დაფუძნებული და რეგისტრირებული კომპანია, რეგისტრაციის ნომრით 7811410 (შემდგომში – **„შემთავაზებელი“**)) მიერ გამოქვეყნებულ იქნა სატენდერო შეთავაზების განცხადება (შემდგომში – **„სატენდერო შეთავაზების განცხადება“**). სატენდერო შეთავაზების განცხადება მოიცავს შემთავაზებლის წინადადებას სს „საქართველოს ბანკის“ (რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, თბილისი 0105, პუშკინის ქ., №3, საიდენტიფიკაციო №204378869) ჩვეულებრივი აქციების (ISIN: GE1100000276) (შემდგომში – **„ბანკის აქციები“**) შეძენაზე ბენქ ოფ ჯორჯია ჰოლდინგზ პლს-ს ახლადემიტირებული ჩვეულებრივი აქციების (შემდგომში – **„შემთავაზებლის აქციები“**) სანაცვლოდ. სატენდერო შეთავაზება გულისხმობს სატენდერო შეთავაზების ფარგლებში გადაცემული ერთი ცალი ბანკის აქციის სანაცვლოდ ერთი შემთავაზებლის აქციის გაცემას (შემდგომში – **„სატენდერო შეთავაზება“**).

წინამდებარე დოკუმენტის ხელმოწერით, ქვემორე ხელისმომწერი უპირობოდ ადასტურებს თანხმობას სატენდერო შეთავაზების მიღებაზე, რაც მოიცავს სატენდერო დოკუმენტებში მითითებულ სატენდერო შეთავაზების ყველა პირობას, ქვემოთ მითითებულ ბანკის აქციებთან მიმართებაში.

ბანკის აქციების რაოდენობა: _____

ანგარიშის ნომერი სს „კავკასრეესტრში“: _____

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი: სს „კავკასრეესტრი

შევსების ადგილი: _____ თარიღი: _____

შეთავაზების მიმღები რეგისტრირებული მფლობელის ხელმოწერა: _____

წინამდებარე დოკუმენტი მნიშვნელოვანია სატენდერო შეთავაზების მიზნებისათვის და მოითხოვს თქვენს ყურადღებას!!!

იმ შემთხვევაში, თუ არ ხართ დარწმუნებული თქვენს მიერ განსახორციელებელ ქმედებებთან მიმართებაში, გთხოვთ, მოიპოვოთ დამოუკიდებელი ფინანსური რჩევები თქვენი ბროკერისაგან, ბანკისაგან, იურისტისაგან, საგადასახადო მრჩევლისაგან ან სხვა დამოუკიდებელი ფინანსური მრჩევლისაგან.

წინამდებარე სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმა („სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმა“) განიხილება თანმდევ სატენდერო შეთავაზების განცხადებასთან ერთად. თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, სანტენდერო შეთავაზების განცხადებაში მოცემულ განმარტებებს ექნებათ იგივე მნიშვნელობა წინამდებარე თანხმობის ფორმაშიც.

სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმა არ წარმოადგენს შეთავაზებას შემთავაზებლის აქციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ. შემთავაზებლის აქციები არ დარეგისტრირებულა და არ დარეგისტრირდება ავტრალიის, კანადის, იაპონიის, რუსეთის, უკრაინის ან ნებისმიერ იმ სხვა ქვეყანაში („აკრძალული იურისდიქციები“), სადაც ამგვარი რეგისტრაცია დაარღვევდა შესაბამის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობას. ცალკეული გამონაკლისების გათვალისწინებით, შემთავაზებლის აქციები არ შეიძლება შეთავაზებულ იქნას ან გასხვისდეს აკრძალულ იურისდიქციებში ან აკრძალული იურისდიქციების მოქალაქეებზე და რეზიდენტებზე.